



საქართველოს
საბავშვო ჟურნალი


— ეს ხალხი მოსავლის ასაღებად ჩა-
მოვიდა?
— არა, მოსავლის წასაღებად!

№ 19 (1293) ოქტომბერი 1968

სიყვარული

გამოცემის 45-ე წელი ფასი 20 კპპ.

მსოფლიოში პირველად საბჭოთა კოსმოსური აპარატი, ავტომატური სადგური „ზონდი-5“, რომელმაც შემოუფრინა მთვარეს, წარმატებით დაბრუნდა დედამიწაზე. საბჭოთა მეცნიერებამ და ტექნიკამ ამ ტრიუმფით კიდევ ერთხელ დაამტკიცეს თავისი პრიორიტეტი.



ნ.ხ. ზ. ფორჩინისა

- რა გაუხეხეთ, სერ?
- თავბრუ მისხმის სხვისი წარმატებებისაგან!
- სხვა რა გაუხეხეთ?
- კუჭის წვა, მუცლის გრძობა...
- ზონდი უნდა გადაყლაკოთ, სერ!
- რას ამბობ, მეიშო, ზონდი რომ ვერ „გადაყლაკავ“, სწორედ იმიტომ მეწვის

უპი!

- რა ღირს, ბიძიკო, ეს სათამაშო ცხენი?
- ორი მანეთი.
- ის ავტომობილი?
- სამი მანეთი.
- აი დათვი რა ღირს, ბიძია?
- რვა მანეთი.
- გამიხვიე, ბიძიკო, მაგენი და მიანგარიშე!
- სულ ცამეტი მანეთი და ოთხმოცდაცხრამეტი კაპიკი.
- შე კაი კაცო, წედან კაპიკები არ გიხსენებია და ახლა საიდან გაჩნდა?

რევაზ ოსაყაიშვილი

რა იქნებოდა?

კითხვა: ფულის ნაცვლად ყვავილები რომ ყოფილიყო მიმოქცევაში?
პასუხი: ერთ მიხაკადაც სამი მანეთი მოვიდოდა.

კითხვა: კინოს ადმინისტრატორს რომ ადგილები ჰქონოდა?
პასუხი: მაშინ თავის ადგილსაც დაგიტოვებდათ.

კითხვა: გამყიდველს რომ ხარისხები არ აერია?
პასუხი: ბაზაში აურევდნენ.

გაგლარ ნოზაქა

ქაიფი უქაიფოდ

ერთ ნაცნობ ოჯახში გავიცანინი, წვეულების დროს...
 წყნარი კაცი ჩანდა, გაღმობებით ზრდილობიანი...

— იმას გეუბნებოდი, არ შევარგებთ საჭმელ-სასმელს ერთმანეთს; ზოგი წესი კი გვაქვს ცული, სიმართლე რომ ითქვას, — გადმომილაპარაკა მან.

— ბატონო ალექსი, თქვენ ვისთან ინებებთ სასმისის გადსვლას? — შეაწყვეტინა ამასობაში მასპინძლის დავალებით არჩეულმა თამადამ.

— შე შორს აღარ წავალ, აგერ ამ პატიოსან კაცს დავუღწევ ჩემს გვერდით, — გაეპასუხა ალექსი.

რამდენიმე სადღეგრძელო ასე სიამტკბილობაში ჩავატარეთ მე და ალექსიმ. დედამიწვილების სადღეგრძელო რომ შეპოვეთ, — ზა თამადამ, ალექსიმ ცალი თვალთ გადმოხედა ჩემს ჭიქაში ჩარჩენილ ღვინოს და „ცოტა მოაკელიო“, გადმომილაპარაკა.

— კი ბატონო, მაგრამ!..
 სუფრა ეშხში შევიდა.

— მეგობრების სადღეგრძელო კი უნდა დავცალოთ ასე, — ალექსიმ ჭიქა ამოამშრალა და ჩემს წინ დაამხო, — იმათზე უკეთესი ვინ გვყავს ჩვენ!

ჩვენი პატარა, მაგრამ დიდი საქართველოს სადღეგრძელოზე შეამჩნევად აღელდა, ცრემლი „სალფეთქით“ მოიწმინდა და გამოშიცხადა:

— მაგას თუ არ დაცლი, მაწყენინებ იცოდე!..

მომდევნო სადღეგრძელოზე თვალები გადმომიბრიალა და კბილებში გამოსცრა, „რა ჭკუაზე ხარ, თუ იციო...“

მერე, ცოტა რომ მოვიტოვე ჭიქაში, ცალი ხელი კეფაზე წამოდო, მეორეთი ჭიქა ნახევრამდე ჩამჩარა პირში და, ბავშვებს რომ ძალით ასმევენ თევზის ქონს, ისე ჭყანვითა და სიმწრით დავლიე ის მონარჩენი ღვინო.

სადღა იყო ის სუფრამდელი ალექსი! ცხვირი გაუწითლდა, ღრანჭი მოექცა, პიჯაკის ცალი სახელო საცივში ამოავლო, მეორე სახელო — ტყემალში, ჰალსტუხი ჭიბეში შეინახა...

— მაგი დალიე ულაპარაკოდ!..

დანარჩენი ყველაფერი ბუნდოვნად მახსოვს. ხან ჩემით ვსვამდი, ხან ალექსის ვყავდი გაქაჩული და ღვინოს ხან ყელში მასხამდა, ხან კისერში... მერე ბოთლი ჩამარტყა თავში და არც დამშვიდობებია, ისე წავიდა.

— სულ ასე იცის! გაილეშება და ჩავამწარებს ყველაფერს მაგ უსინდისო ალექსი, — ბუზღუნებდა დიასახლისი.

— მაგის ამბავი თუ იცოდ, დროზე ვერ მითხარით? — წამოვიკნავლე მე და ცალი თვალთ გამოვუჭიტიხე დიასახლისს ბინტის ქვემოდან.

თამაზ სალუქვაძე

მედიკალიზაცია

საქართველოს
საზოგადოებრივი ჯანდაცვის
სისტემის განვითარების
სახელმწიფო აპარატი

რედაქტორი — მარტვილის სიმამრს —
პატ. ბიკენტი — ბრძა ნაწლავის ქრონიკული
ანთების დიაგნოზი დაუსვა, ოჯახში ერთი ალი-
აქოთი ატყდა...

— უნდა ამოვტარო! — შინარევი ხმით ჩა-
იჩურჩულა მმართველმა.

— სირცხვილიც კია, მმართველის სიმამრს
ნაწლავი აწუხებდეს და ისიც ბრძა! — კვერი
დაუკრა ქმარს ცოლმა.

— თქვენ რა გენაღვლებათ, მე საწყალმა ვი-
კითხო თორემ!... — აქვითინდა სიდღერი.

— ბაბუას საავადმყოფოში არ დავაწვენთ!
— კატეგორიულად განაცხადეს შვილიშვილებ-
მა.

მეორე დღეს 5 პროფესორისა და ერთი აკა-
დემიკოსისაგან შემდგარი კონსილიუმი სინ-
ჯავდა მოხუცს.

— კოლეგები დამეთანხმებიან, რომ აქ საქმე
გვაქვს განსაკუთრებულ შემთხვევასთან. თვით
ნაწლავის ანატომიური მდებარეობა და ანთე-
ზალი პროცესის კეთილშობილური მიმდინარე-
ობა კიდევ ერთხელ მეტყველებს ამაზე! —
ბრძანა აკადემიკოსმა.

— ნამდვილად კოლეგებო! დიდად პატივცე-
მული აკადემიკოსის ყურადღებას უპირველეს-
ად მივაქცევ მუცლის მოხაზულობის ჭერ არ-
ნახულ ფორმას: ავადმყოფს მუცელი ფაფუკი
და ბალიშივით რბილი აქვს! — თქვა ერთმა
პროფესორმა.

— იღეო ცეკალური არე თავისებურად
მგძნობიარეა! — თქვა მეორემ.

— ტემპერატურა ოცდათექვსმეტი და ოთხი!
— თქვეს მესამე და მეოთხე პროფესორებმა.

— ორმოცი ჰქონდა ბაბუას სიცხე! — შეჰყ-
ვირა მესამეკლასელმა შვილიშვილმა.

— სისხლში ლეიკოციტარული ფორმულის
მხრივ გაღატაკა არ აღინიშნება! — თქვა მე-
ხუთემ.

— დავაწვინოთ საავადმყოფოში — ბრძანა
მმართველმა.

ავადმყოფს ხმა არ ამოუღია.
დააწვინეს.

— ხუთ წუთში მოგაშორებთ ბრძა ნაწლავს!
— გაამხნევა პროფესორმა ავადმყოფი.

ნახევარი საათის შემდეგ მეორე პროფესო-
რი შემოვიდა, გასინჯა...


— ირუნდა! — მხარზე ხელი მოუთათუნა და
გავიდა.

— დაიჭერე ახლა მავათი: ერთი ამბობს, უნ-
დაო, მეორე — არ უნდაო.

მეორე საწოლზე ვილაცამ დაიკვნესა.

— თქვენ რა გჭირთ? — დაინტერესდა ბი-
კენტი.

— მე მჭირს, ბატონო, თუ მჭირს, — დაიწყო
მეზობელმა, კაცს, გზები რომ დაეხლართება,
ისე დამეხლართა ნაწლავები; სასწრაფოდ გამ-
ჭრეს და გამკერეს. ერთი-ორი დღე არც აქეთ
ვიყავი და არც იქეთ. მესამე დღეს ვატყობ.
მუცელი მტკივა და მიბერება. წამიყვანეს და
მეორეჯერ გამჭრეს. მგონი, რაღაც ჩვარი ჩარ-
ჩენოდათ შიგ. არ გასულა ხუთი დღე და
თქვენს მტერს, რაც მე დღე დამადგა: მსინჯავს
პროფესორი და თავს აქნევს, თავისთვის ბურ-
ტყუნებს, რაღაც არ მოსწონს. ექთანს ვეკი-
თხები: რაშია საქმე, რა მოხდა-მეთქი? ჩუმად
მეუბნება: პროფესორმა ოპერაციის დროს ქი-
რურგიული დანა დაკარგა და ვერ არის კარგ
ხასიათზეო.



დამცეცხლა, გავიფიქრე, ალბათ, ჩემზე ეპა-
რებათ ეჭვი, ხელახლა გაჭრას მიბირებენ-მეთქი
და აქი გამართლდა კიდევ. ბევრი ვიყვირე,
თქვენს დანას ჩემს მუცელში რა უნდა, დამა-
ნებეთ თავი, ახალს, უფრო უკეთესს გიყიდი-
მეთქი, მაგრამ ვინ მოვისმინა? მესამეჯერ გამ-
ჭრეს და აგერ შექცევ დღეა, არა მიშავს, კარ-
გად უნდა ვიყო. ახლა დილიდან უფროს ექ-
თანს ეძებენ, არ ჩანს, დაიკარგაო, ცოტას ვაც-
ლო, თუ არ გამოჩნდა, უნდა გავიქცე და თავს
ვუშველო...

პალატაში დოცენტი შემოვიდა და ხუთი
ექიმი შემოჰყვა. გასინჯეს ბიკენტი, გაამხნევეს
და წავიდნენ.

ხუთი საათიდან ბიკენტის მნახველი ნათესა-
ვების შემოტევა დაიწყო. მალე თვითონ მმარ-
თველი და მისი მოადგილეები მოვიდნენ.

ყველა ანუგეშებდა და ამხნევებდა, ნუ გეში-
ნიაო. ბიკენტი დაღალა და მეორე დღის 10

საათამდე მკვდარივით ეძინა. თვალი რომ გა-
ახილა, მის საწოლთან მდგარი 2 პროფესორი,
სამი დოცენტი და თხუთმეტი რიგითი ექიმი
დაინახა. მოხუცი ჭერ ქირურგმა გასინჯა, მერე
— ნევროპათოლოგმა, შემდეგ — თერაპევტმა და
ბოლოს — თხუთმეტივე ექიმმა. ორ საათზე
ურლოლოგი და ყელ-ყურ-ცხვირის ექიმი შემო-
ვიდნენ. მათაც ანუგეშეს მმართველის სიმამრი
და გავიდნენ.

— აგერ ნახავ, გინეკოლოგმაც თუ არ გაგ-
სინჯოს! — გაეხუმრა ბიკენტის ახლავცინობილი
ავადმყოფი.

ამდენი გამხნევება-გასინჯვის შემდეგ ბიკენ-
ტის ეჭვი ეპარებოდა ოპერაციის სიადვილე-
ში; განგებ მამხნევებენო, ფიქრობდა. განსა-
კუთრებით თერაპევტმა შეაშინა: ვენერიული
სენი თუ გჭირდა ბავშვობაშიო. მესამე დღეს,
თავის ცხოვრებაში პირველად, ბიკენტმა იგრ-
ძნო, საღ ჰქონდა გული. ჩხვლტას ტკივილიც
დაერთო და ხუთ სხვადასხვა აბს უანგზადის 4
ბალოში მიაყლოა. ვენეროლოგმა რომ გასინ-
ჯა, ტკივილები თითქმის დაუწყწარდა.

ზუსტად 2 საათზე ისევ მოვიდნენ პროფე-
სორი და ორი დოცენტი; გაამხნევეს და ახა-
რეს, ხვალისთვის კარგად მოეშალა, ლენინგ-
რადიდან სპეციალურად მოწვეული პროფესო-
რი გაგიკეთებს ოპერაციასო.

სალამოს სიძემ და ქლიშვილმა მოაკითხეს.
მათ ასი მნახველი მოჰყვა. ბიკენტმა მოსვენე-
ბა დაკარგა, ნერვიულობდა და რაღაც გაუგე-
ბარს ბუტბუტებდა.

— არ წახდე! მთავარია, არ შეშინდე! შენ
რა გჭირს, მეც რომ მმართველი სიძე მყოლო-
და, ამ დღეში არ ჩავვარდებოდი! — ამხნევებ-
და უკვე დამეგობრებული ავადმყოფი.

ბიკენტმა გვიან ჩაიძინა...

— დროა, გაღვიძოთ! — ბრძანა დილით
პროფესორმა.

— ერთი საათია ვაღვიძებთ, ბატონო!

— ჯანსაღი კაცია და ჯანსაღი ძილიც ცოლ-
ნია!

ჭერ მორიდებულად შეანჯღრის, მერე ერთ-
მანეთს წამოეშველნენ და მთელი საწოლი სა-
ცერივით ეხეთქებოდა ხელიდან ხელში. ბო-
ლოს ერთმა მედიცინის ქმამ ჭული მოიხადა,
გვერდზე გადავა და დამნაშავესავით აიტყუა.

— რას შვრებით ამდენ ხანს, გააღვიძეთ? —
შემოჰყო პალატაში თავი პროფესორმა.

— რაღა გააღვიძებს, ბატონო, თქვენი ჭირი
წაუღია!..

უჩა ფანცულანი

ნახ. ჯ. ლოლუაძე



არაფერი არ ისმის!
თუ მოსმენა ბინლა, აგერ რადიოს მოსმინი!



დმერთო ჩემო! ნუთუ ამ სტრიქონის ავტორმა იცოდა ჩვენი დროის ეს საიდუმლო!

ისე, კაცმა რომ თქვას, რას ერჩი?! ასე თუ ისე, მაშინ შედარებით სიიფიც კი ყოფილა. „ათასად გვარი დაფასდა, ათი ათასად — ზრდილობათ“... ზრდილობისა რა მოგახსენოთ, გვარი კი... დიახ, არის გვარი, რომელიც ათასიც ღირს, ათი ათასიც და უფრო მეტიც. ეს გვარი გახლავთ წილოსანი. წილოსანი ნამდვილი და მშვენიერი გვარია, მაგრამ ჩვენ იმათზე როდის მოგახსენებთ, ვინც გვაროვნული წყობილების მიხედვით სრულიად კანონიერად აგრძელებს მამა-პაპის გვარს, არამედ იმათზე, ვისაც ორგვარად ესმის ეს ამბავი და ამიტომ ორ გვარს ატარებს.

შეგიძლია იყო ნიბლაძე, ღობრაძე, ქიბროწაშვილი ან სხვა ვინმე „შვილი“, მაგრამ, იმის-

და მიხედვით რა შვილი ბრძანდები, ვისი შვილი ხარ, ვინ გყავს პატრონი, ან რისი პატრონი ხარ, შეგიძლია ისწავლო კარტის ჩაწყობა, საქმის აწყობა, ფულის ჩაყრა და გახვიდე კომერციულ საქმეში. საქმეში გასვლა და წილში შესვლა ერთდროულად ხდება. როგორც კი წილში ჩადგები, უკვე შენი გვარია წილოსანი. ასე და ამრიგად ხდება სხვადასხვა გვარის ადამიანები „ერთგვარები“ — წილოსნები.

...ეს ვარიანტი სრულიად ახალია გვარის წარმოშობის ისტორიაში. მასალები, ყოველგვარი გათხრების გარეშე, ნაპოვნია არაისტორიული ციხეების კანცელარებში.

აი, ერთი დამახასიათებელი დიალოგი წილოსანთა საგვარეულოდან:

...არტელის ტიპის საწარმოსთან დგას ორი უეჭველად საეჭვო ელემენტი და დირექტორის

კაბინეტისაკენ იყურება. ეს საწარმო დანებს უშვებს, მაგრამ დირექტორი უხვად მოსწონს შული, რომ მის მიერ გამოშვებული დანაც კი არ უხსნის პირს. დირექტორი წილოსანიც, მისი შემეყურე ეჭვგარეშე საეჭვო ელემენტებიც მისი გვარისა და ჯილაგისანი არიან.







— ერთი თვეა, გაფუჭებული რადიოსავით ხმას არ იღებს! — ეუბნება ერთი მეორეს და მესამეზე მიუთითებს.

— წინა თვისა არ გადაგვიხდია და იმიტომ გამოითიშა, ალბათ, — ამბობს მეორე მესამეზე.

წილოსნები, რაზედაც არ უნდა ლაპარაკობდნენ და როგორც არ უნდა ლაპარაკობდნენ, ყოველთვის წილოსნები არიან და ყოველთვის წილზე ლაპარაკობენ...

გელა თელია.

უხსოვარი იუპორი



უხსოვარი იუპორი

მასწავლებელი: „სევილიელ დალაქზე“ რამე გსმენია?
მოსწავლე: არა, მაჩაჩემი თვითონ იპარსავს, მასწ!

— შეხედე, დედიკო, როგორ ჰგავს ეს ძაღლი ძია პავლეს!
— ჟანა, რას ამბობ? განა შეიძლება ამის თქმა?!
— რატომ? შენ ფიქრობ, ძაღლი გაბრაზდება და გვიკბენს?

ცოლი: აი, მესმის! კაცმა 20.000 დოლარი დაუტოვა ქალს, რომელმაც 20 წლის წინათ უარი უთხრა ცოლობაზე!
ქმარი: ალბათ, მადლობის ნიშნად.

აბსტრაქციონისტ მხატვართან
— ამ დილით მობრძანდა ის ვაჟბატონი და მეუბნება, ცხვირი ცოტა გადააკეთეთ...
— მერე მაგაზე რას ბრაზობ?
— აღარ მახსოვს, რა ადგილას ჩავახატე.

უხსოვარი იუპორი

საკვირიო ჩემს პასაჟიჟს

მათი წელია. ერთ მომცრო, მაგრამ ავტორიტეტულ ჟურნალში უმცროსი ლიტმუშაკის თანამდებობა მიკავია. არ იფიქროთ, იმაზე ვწუხდე, ამდენ ხანს წინ წაწევა რომ ვერ მოვახერხებ. არა, ჩემი წუხილისა და, შეიძლება ითქვას, წამების მიზეზი სულ სხვა გახლავთ.

აქედანვე ვიცი, რომ, როცა იქნება, ბოლოს მომიღებს ავტორთა ერთი, საკმაოდ მრავალრიცხოვანი და უზომოდ ენერგიული კატეგორია. ეს პატიოსანი ადამიანები არაფერს თაკილობენ, ოღონდ თავიანთი ნაღვაწი დაბეჭდილი იხილონ. ჩემი და ჩემი კილეგების მდგომარეობა რომ უფრო ნათელი გახლეს, მთავარ შტრახებში მოვიტან რამდენიმე ტიპიურ ნიმუშს:

აი, კარებში მორიდებულად გამოჩნდა ჩალოს ქუდი, მე წელში ვსწორდები და ღიმილით ვეგებები ქალბატონ დუშას, სამოცს მიტანებულ მანდილოსანს, რომელიც, საოჯახო საქმეების მომთავრების შემდეგ, იმდენს ახერხებს, რომ ჯდება და თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვს მწერლობაში. წინა შეიდ შეხვედრაში ბედმა გამოიღმა და, როგორც იქნა, დავარწმუნე, რომ მისი ნოველები ჩვენს ჟურნალს არ გამოადგებოდა. კარგა ხანია, არ გამოჩენილა და, ისე იოლად ველარ მოვიშორებ.

— ნოველა მოგიტანე, ჩემო ელიზბარ, ნამდვილ ამბავზეა, — მეუბნება და უზარმაზარ შეცვრას გადახუნებულ მაუღზე ფაქიზად დებს.

— სასიამოვნოა, — ზრდილობისათვის ვამბობ და ხელს ვართმევ, — დაბრძანდით! — დასაჯდომად არ მცალია, როდის შემოვიაროთ?

— ორმაბათისათვის წაკითხული მიქნება. — აბა, შენ იცი, ჩემო ბუტიკო, დცოდე. ცუდი ამბავი არ დამახვედრო!

— ეგ თქვენზეა დამოკიდებული. ქალბატონ დუშას გულიანად ეცინება. — ნაწილობრივ თქვენზეცაა. მე ზომ ვიცი, როგორ იბეჭდება ხალხი. პონორარს არ ავიღებ! — კარებიდან მადევნებს.

— მაგაზე ხომ შევთანხმდით, უპატრონო ბავშვთა სახლს გადაეგზავნება!

ჩალოს ქუდი უჩინარდება. ამჟამად კარს ცალი ბეჭით აწვევა შუა ხანს გადაცილებული, არც თუ უსიმპათიო მამაკაცი. მისი ერთ-ერთი სათავგადასავლო რომანი სწორედ ამ დილით ჩავათავე და მთლად კარგ გუნებაზე არა ვარ.

— წაიკითხეთ?

— დიახ.

— თუ შეიძლება, აზრი... — საერთოდ, შემხვდა საინტერესო ადგილები, პასაჟები, მაგრამ მთლიანობაში...

— კერძოდ რა არ მოგეწონათ? — არ მამთავრებინებს ბატონი ისიდორე.

— აი, თუნდაც, ჩერჩილისა და ლოიდ ჯორჯის დიალოგი. ცოტა არადამაჯერებელი მეჩვენა, თანაც გაზვიადებულია.

— შევამოკლოთ!

— არა მგონია, შემოკლებამ უშველოს.

— სულ ამოვიღოთ, მაგაზე გაწყენინებთ?

— მერე კიდე: გარეუბანში რომ იმხელა ავარია ხდება, იმდენი ხალხი იხოცება, იმას არავითარი კავშირი არა აქვს მთავარ ამბავთან.

— დავაკავშიროთ, მაგაზე ადვილი რა არის!

უხედავ, შენიშვნების მიცემას აზრი აღარა აქვს. რა წყალში ჩავარდე, აღარ ვიცი.

— სათაურიც ვერ მოგიძებნიათ ხერხიანი. „შენი ბოლო ციხეა, ჩემო კარგო!“ ნამეტანი მყვირალაა, — ხაგას კეჭილები მე.

— სათაურს ახლავე შევცვლი, თუ გინდათ.

— მე არაფერიც არ მინდა, პატივცემულო! — გადარევას ბევრი არაფერი ძიკლია, — და, საერთოდ, თქვენი ნაწარმოების ბედს მართო მე ვერ გადავწყვეტ, კოლიგაა გადავცემ.

ეს კაცი, ვატყობ, ყველაფრის შევცვლა-გადაკეთებაზე თანახმაა და უკოლეგიოდ ნამდვილად ვერ მოვიცილებ.

— კეთილი და პატიოსანი, — იღიმება ბატონი ისიდორე, — ისე, თუ დაიწუნეს, არც მაგაზე მოვიკლავ თავს, ამ ერთი რომანის ანაბარა კი არა ვარ, შე კაცო! ექვსი კიდეც მაქვს, — მანუგეშებს თავის თავში ღრმად დარწმუნებული ადამიანი და მოზომილი ნაბიჯით გადის ოთახიდან.

ბატონი ისიდორე კიბეზეც არ იქნება ჩასული, რომ ხვლიკისფერი ველური ქუდა და არაბუნებრივად წითელი სახე გამოჩნდა ნახევრადლია კარში. ეტყობა, შესაფერ მომენტს უცდიდა.

— შეიძლება, უფროსო?! — მობრძანდით!

ამ კაცს პირველად ვხედავ, მაგრამ პირველი შთაბეჭდილება სანუგეშოს არაფერს მეუბნება.

— ტიტოკო, გენაცვალე! — სატეგარივით მატაკა მარჯვენა და მარცხენათი შთამაგონებელი სიდიდის საქალაღე მომაჩეჩა.

ეს კაცი შედარებით ახალგაზრდაა (ასე, ორმოცის იქნება), თუმცა ამგვარი კატეგორიის ხალხი ამ ასაკშიც არა იშვიათი მოვლენა. მაგრამ პირველი შთაბეჭდილება ყოველთვის არ ამართლებს. საქალაღე გავხსენი და პირველ წინადადებას ჩავავლე თვალი:

„სამარიისებურ სიმშვიდეს მხოლოდ სიმშვიდის დამცველის სასტვენის ხმა არღვევდა. მახათას მხრიდან ამოვარდნილი გრილი ნიავი კი ოდნავ არხედა განმარტოებით მდგარ ქადრების ხეივანს და ფოთლების მელოდიურ შარისშურს მტკვრის მომჯადოებელ რაკრაკს უერთებდა.“

საბოლოოდ გარკვეულია, ვისთანაც მაქვს საქმე, მაგრამ რა გინდა, რომ ქნა?

— სამშაბათს გამოიარეთ, წაკითხულს დაგახვედრებთ!

— უეჭველში მოვალ, არ დამალატო, თუ კაცი ხარ! ისე, მხატვრულ ხარისხში მენდეთ. ჩემს მოწაფეებს წავუკითხე და გავუდინე საწყლები.

ამით ტაქტიანად გამაგებინა, რომ პედაგოგი იყო.

— მჯერა, ბატონო!..

— აბა, კარგად მეყოლეთ! — ისევე მატაკა მარჯვენა.

— კარგად!..

სათს დავხედე. პირველი შესრულებულიყო.

ახლა შესვენებაზე ვაგალ, თუ ვინმე კიდე არ დამეცა თავზე. შეიძლება, კედარც დავებრუნდე შესვენებიდან. ან კი ღირს დაბრუნება?!
საბოლოოდ გარკვეულია, ვისთანაც მაქვს საქმე, მაგრამ რა გინდა, რომ ქნა?



მთავარი რედაქტორი ნოდარ ლუშმაია

სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (პ/მ. მღვივანი), ს. კლდიაშვილი, ნ. მაღალონი, ბ. ნიუნიაძე, (მთავ. რედ. მოადგილე), ნ. შველიძე, ო. ჭელიძე.

საბრისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“

თბილისი, 67 სუაგელის კომპლექტი № 42.
ტელ. რედაქტორის 9-76-59, რედ. მოადგილის 93-49-32, საერთო განყოფილების 93-10-78.

ნიანგი

თბილისი, სატირიკო-იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“. საბ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა. ხელმოწ. დასაბ. 27/IX. 1968 წ. ტალ. ზომა 70x108/8 1 ნაბ. ფურც. 1,4. ფინიჭარ ფორმატა რეკლამება 1. პირვით ფორმატა რეკლ. 2. საბ. კვ ც-ის გამომცემლობის კ/კომპინატი. თბილისი, ლენინის ქ. № 14. შიპვ. № 3386. უი 02493. ტირაჟი 90.300.

68-627

ნახ. ბ. ლომიძის

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დ. ბოლი სიგეემდე მიიყვანა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის კატეგორიულმა მითხვენამ — მოეხსნათ დღის წესრიგიდან გულუწოდებული „ჩეხოსლოვაკიის საკითხი“.

1
1968



ИНДЕКС 76137

ნერვების აშშ-ს და პროვოკაციის ჩაშლა.